

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს ”ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საბაზისო კურსის” მასწავლებლის/ინსტრუქტორის თანამდებობაზე

I. სამუშაოს აღწერა:

მასწავლებელი/ინსტრუქტორი კვირის განმავლობაში თითოეულ ჯგუფთან ატარებს 2 საათიან სალექციო-ლაბორატორიულ მუშაობას, რომელიც მოიცავს სილაბუსით გათვალისწინებულ საკითხებზე თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს.

ლექტორი პერიოდულად ახდენს საკუთარი საქმიანობის ანგარიშგებას. მონაწილეობს კურსის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამართულ შეხვედრებში.

სამუშაო დატვირთვა არ აღემატება კვირაში 6 საათს/3 ჯგუფს.

1 საათის ანაზღაურებაა 12,5 ლარი (დაბეგვრით).

II. კომპეტენცია:

1. ინფორმაციის მართვის კომპეტენცია:

1. ინფორმაციის საჭიროების, ბუნებისა და ტიპების იდენტიფიცირება;
2. საჭირო ინფორმაციის ეფექტური მოძიება, წვდომა და დამუშავება;
3. ინფორმაციისა და მისი წყაროს შეფასება და შერჩეული ინფორმაციის ინტეგრირება საკუთარი ცოდნისა და გამოცდილებასთან
4. ინდივიდუალურად ან როგორც ჯგუფის წევრმა გამოიყენოს ინფორმაცია დასახული/სპეციფიკური ამოცანის განსახორციელებლად.
5. ინფორმაციის ეთიკური და სამართლებრივი გამოყენება, მასთან დაკავშირებული ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური საკითხების გამოყენება და გააზრება.

2. ტექნოლოგიური კომპეტენცია:

1. ძირითადი ოპერაციული სისტემების (Ms Win, Linux) თეორიული და პრაქტიკული ცოდნა
2. საოფისე პროგრამების (Ms Office, OpenOffice) თეორიული და პრაქტიკული ცოდნა
3. ინტერნეტ-ტენდენციების ზოგადი ცოდნა და გაცნობიერება;
4. ინტერნეტ-სერვისების, მათ შორის საუნივერსიტეტო ინტერნეტ-სერვისების (ელფოსტა, კალენდარი, დოკუმენტსერვისი...) გამოყენება

3. პედაგოგიური კომპეტენცია:

1. გადმოცემის უნარი;

2. კომუნიკაციის უნარი;
3. მოტივირების უნარი;
4. ჯგუფური და ინდივიდუალური სწავლების სტრატეგიების ფლობა;

4. ზოგადი უნარები

1. ინოვაციურობა და შემოქმედებითობა;
2. საჭიროებების იდენტიფიცირების უნარი;
3. სისტემური ხედვა;
4. თვითიდენტიფიცირებული პრობლემის ეფექტურად გადაწყვეტის უნარი;
5. დროის ეფექტური მენეჯმენტი;
6. შესრულებული სამუშაოს დოკუმენტირების/ანგარიშგების უნარი
7. გუნდში მუშაობის უნარი

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

1. განცხადება პირობებთან დაკავშირებული ინფორმირებულობისა და მონაწილეობის სურვილის შესახებ. განცხადებაში კონკურსანტმა ასევე უნდა მიუთითოს სასურველი საათობრივი დატვირთვა;

2. CV

კანდიდატებმა საბუთები უნდა წარმოადგინონ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში (მის. ჩოლოყაშვილის 3/5) 2010 წლის 6 აგვისტოდან 2010 წლის 6 სექტემბრის ჩათვლით, ან გამოგზავნონ ელექტრონულად მისამართზე-
info@iliauni.edu.ge

IV. კონკურსი ჩატარდება შემდეგ ვადებში:

6. 08.10 - 6.09.10 -საბუთების მიღება
13-14.09.10 - პირველი ეტაპი - პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაო
16-17.09.10 - მეორე ეტაპი - დაგეგმა-პრეზენტირება
20.09.10 - შედეგების გამოცხადება
22-29.10 ტრენინგები შერჩეული ლექტორებისათვის